

572  
1972

1972 ՄԱՆԹԱՅԵՎՈՒ ՈՒ Ո

ՀԱՅԿ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ



# ყურძენი დამწიფებულა

თეიმურაზ აბულაძე

ყურძენი დამწიფებულა,  
 ქარვა დაღვრია კუმბალს.  
 გიჟვარდეს—ვანსიამოვნებთ,  
 ვინაც ყურძენი უყვარს.



## სიმღერა

ჯანსუღ ნიჟარაძე

აბა, დეღია, დეღია,  
 ასლა სოფელში რთველიან!  
 მალღა, ლაქვარდის ზღვა არის,  
 მირს თქროსუფერი ვეღია...  
 ჩემი ზანა და დიდღა  
 ვინ იცის, როგორ შეღიან?!  
 ვინ იცის, როგორ შეღიან?!

## ჩექმები

ლია შოთაშვილი

ნახატები ზურაბ კახანიძისა

ერთი ბიჭი იყო, არჩილი ან აჩიკო ერქვა. როგორც გენებოთ, ისე დაუძახებთ. როცა ეს ამბავი მოხდა, ხუთი წლისა იყო. ახლა უკვე დიდი ბიჭია, მაღე თერთმეტისა გახდებამაგრამ შინაურები მისი პატარაობის ამბავს რომ იხსენებენ, მაინც სიამოვნებით ისმენს.

ერთხელ ბაბუამ ბევრი იარა, იარა და ერთ მალაზიაში შევიდა. რა თქმა უნდა, ბავშვთა განყოფილებაშიც შეიხედა. უცებ დახლზე თვალი მოჰკრა ჩექმებს. შავი რეზინის ჩექმები იყო, წითელარზიანი, ლაპლაპა, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ გვერდებზე აქეთ-იქით ყალყზე შემდგარი წითელი რაშები ეხატა. ეს უთუოდ აჩიკოს სარგაოა, — გაიფიქრა ბაბუამ, მაგრამ გამყიდველს მაინც ჰკითხა: მზთხართ, გეთაყვა, ეს ჩექმები რა ნომერიაო.

ჰოდა, როცა გამყიდველმა უთხრა, ოცდაცხრა გახლავთო, ბაბუას ბევრი აღარ უფიქრია: — შემიხვიეთო, სთხოვა, ფული გადაიხადა და შინისკენ გამოეშურა.

ზამთარი იყო. მართალია, ჯერ არ მოეთოვა, მაგრამ ბაბუა ფიქრობდა: რა კარგია, თოვლი რომ მოვა, აჩიკოს გუნდაობის დროს ფეხები არ დაუსველდებაო.

ხომ წარმოგიდგინიათ, როგორ გაუხარდებოდა აჩიკოს! ხან ასე ატრიალა ჩექმები, ხან ისე. ჩექმებს სულ ლაპლაპი გაუდიოდა. ბოლოს ჩაიკვია და ოთახში გაიარა-გამოიარა.

ოთახში რადიატორები იყო ჩართული, ცხლოდა, როგორც იცით, რეზინის ჩექმებს სიცხე არ უყვართ. ესეც არ იცოს, აბა რა სატარებელია რეზინის ჩექმები ოთახში!

გავიდა ერთი საათი, ორი.

— გაიძრე ჩექმები, აჩიკო, — უთხრა ბებომ, — ოთახში ჩექმები დაგისკდება!

— გაიძრე, — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ ბაბუამ, — თოვლში რაღა უნდა ჩაიკვას!



აჩიკო თავისას არ იშლიდა, ოთახიდან ოთახში დარბოდა და სულ ჩექმებს დასცქეროდა. ჩექმები კი ლაპლაპებდნენ.

— უჰ, როგორ დაგვცხა, — გაიფიქრეს ჩექმებმა, — ნეტა ამ ბიჭმა — არჩილია თუ აჩიკო მთელ დღეს ამ სიცხეში უნდა გვატაროს?!


აჩიკო კი თავისას არ იშლიდა. დაღამდა. აჩიკოს ძილის დრო მოვიდა.

„ჩექმებიანად ჩაეწვები ლოგინშიო“, — დაიჩემა. აბა, ეს რა საკადრისი იყო! როგორც იქნა, გააძრეს ჩექმები, საწოლთან დაუდეს. აჩიკომ უყურა, უყურა, ბოლოს თვალები მილოულა და ჩაეძინა.

„ახლა მთელ ღამეს აქ უნდა ვიღვებო?!“ — გაიფიქრეს ჩექმებმა.

— ამის ატანა არ შეგვიძლია, სული გვეხუთება, — ჩაუღამარაყეს წითელ რაშებს ჩექმებმა.

978/11





— ხელოც თუ ასე გაგრძელდა, რაღა გვე-  
შველება,—უთხრა მარჯვენა ჩექმის რაშმა  
მარცხენისას,—ჩექმები ხომ სულ მთლად დას-  
კლებიან.

— როგორც ჩანს, ეს ბიჭი—აჩიკოა თუ  
არჩილი, ძალიან ჯიუტი ვინმე უნდა იყოს,—  
უთხრა მარცხენა ჩექმის რაშმა მარჯვენისას.

— მართლაც, არც ბებოს დაუჯერა, არც  
ბაბუას,—უბასუხა მარჯვენა ჩექმის რაშმა.

„მოდით თავს ვუშველოთო!“—გადაწყვი-  
ტეს წითელმა რაშებმა, ჩექმები ზურგზე შეის-  
ხეს, ფეხაკრფით გავიდნენ შუშაბანდში. იქ  
ფანჯარა ღია იყო და ფზოში გადაეშენენ.

იარეს და იარეს... ამასობაში გათენებულლი-  
ყო კიდევ: ამ დროს სახლიდან ერთი კაცი  
გამოვიდა.

— საით გაგიწევიათ, ჩექმებო! — ჰკითხა  
კაცმა.

— ერთ ბიჭს გამოვებარეთ, მოსვენება არ  
მოგვცა, რადიატორიან ოთახებში დაგვაქე-  
ნებდა, სული შეგვეხუთა, კინალამ დავსკდით  
და გამოვიქვეით!

— შემოდით, ჩემს ბიჭს მიგვერითო,—

უთხრა კაცმა.

— თქვენი ბიჭი ჯიუტია?—ჰკითხა მარჯ-  
ვენა ჩექმამ.

— ჰმ... მგონი, ცოტა ჯიუტი უნდა იყოს,—  
ნაღვლიანად უბასუხა კაცმა.

— აბა, ვერ წამოგყვებით,—უთხრეს ჩექ-  
მებმა და გზა განაგრძეს.

იარეს, იარეს და ახლა ერთ ბიჭს წააწყ-  
დნენ.

— საით გაგიწევიათ, ჩექმებო? — ჰკითხა  
ბიჭმა.

— ერთ ბიჭს გამოვებარეთ. მოსვენება არ  
მოგვცა, რადიატორიან ოთახებში დაგვაქე-  
ნებდა, სული შეგვეხუთა, კინალამ დავსკდით  
და გამოვიქვეით.—უთხრეს ჩექმებმა.

— გინდათ ჩემები გახდეთო?—ჰკითხა ბიჭ-  
მა.

ჩექმებმა ჯერ ფეხზე დახედეს ბიჭს, მერე  
ერთმანეთს გადაუჩურჩულეს: „ნეტა ამ ბი-  
ჭისა როგორ უნდა გავხდეთ, როცა ოცდა-  
თორმეტი ნომერი ფეხი აქვსო“.

— შენ რა გქვია, ბიჭიკო?—ჰკითხა მარც-  
ხენა ჩექმამ.





— გია მქვია, — უპასუხა ბიჭმა.  
 — გია, ბიჭიკო, კარგი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ შენ ვერ გამოგადგებით, ვერ მოგერგებთ, ფეხი ვერ ჩაგივავო, — უთხრეს ჩექმებმა და გზა განაგრძეს.  
 უძებნო ში პატარა გოგო გამოჩნდა. დაინახა თუ არა ჩექმები, უმაღლ მათყენ გამოეშურა.

— საით გაგიწვეიათო? — ჰკითხა.  
 — ერთ ბიჭს გამოვეპარეთ. მოსვენება არ მოგვცა, რადიატორებიან ოთახებში დაგვაქენებდა, სული შეგვეხუთა, კინალამ დაესკდით და გამოვიქცეთო. — უპასუხეს ჩექმებმა.  
 — უიმე, ეს როგორ მოუვიდა. ნეტა, ვინ იყო ის ბიჭი? — ჰკითხა გოგონამ.  
 — არჩილი ან აჩიკო ვრქვია.  
 — აჩიკო?! — გაუკვირდა გოგონას. — ჩვენი არჩილი, პირველი სართულიდან? — ჰკითხა გოგონამ.

— ჰო, პირველი სართულიდან. შენ რა გქვია გოგონი? — ჰკითხა მარჯვენა ჩექმამ.  
 — მე ირინე მქვია, — თავაზიანად უპასუხა გოგონამ.

— შენ ნამდვილად ოცდაცხრა ნომერი ფეხი გქვინება, — უთხრა მარცხენა ჩექმამ.  
 — აბა, ჩაგვიცვიო, — სთხოვეს ჩექმებმა. ირინემ ჩაიცვა და მოერგო.  
 „კარგი გოგო ჩანს“, — გაიფიქრეს ჩექმებმა და უფრო ალაპლაპდნენ.  
 ირინემ კი იფიქრა: „მართალია, ძალიან მომწონს, მაგრამ სხვის ჩექმებს ხომ არ მივითვისებო“.

ჰოდა, მაშინვე გაიძრო. ქალაქში გაახვია, ილღიაში ამოიღო და აჩიკოს სახლის კარს მიადგა ჩექმებიანად. ფეხის წვერებზე აიწია და ზარის ღილაკს თითი დააჭირა, მთელ სახლში გაისმა ზარის წკრიალი. კარი არჩილმა გაუღო.

— ზამარჯობა, აჩიკო, — უთხრა ირინემ.  
 — გაგიმარჯოს, — ნალღლიანად უპასუხა აჩიკომ.

— რად ჩამოგტირის ცხვირ-პირი?!  
 — ასე და ასე მოხდაო, — უამბო აჩიკომ. — ბაბუამ ჩექმები მიყიდა, ისინი კი აღგნენ და გამეპარნენო.

— იცი, რატომ გაგეპარნენ? — ჰკითხა ირინემ.

— ვიცი, ბაბუამ მითხრა, შენისთანა ჯიუტ ბიჭთან ყოფნა არ ისურვესო.

— იცი რა, აჩიკო, თუ პირობას მომცემ, რომ ოთახში არ ჩაიცივამ ჩექმებს, მაშინ...

— რა მაშინ? — თვალეხი გაუბრწყინდა აჩიკოს.

— მაშინ ჩექმები დაგიბრუნდებიან.  
 — ირინე, შენი კირიმე, ირინე, ოღონდ





საქართველოს  
ხალხთა რესპუბლიკის  
ქვეყნული ბიბლიოთეკა

დამიბრუნდნენ და არასოდეს, არასოდეს აღარ  
ვატარებ ოთახში. მარტო წვიმასა და თოვლ-  
ში ჩავიცვამ. როგორც კი შინ შემოვალ, მა-  
შინვე გავიძრობ და შუშაბანდში გავიტან.  
იქ ხომ გრილა, ჩექმებს არც დასცხვებთ და  
არც დასკვებიან.

ირინემ დაუჯერა აჩიკოს, ის ხომ ძალიან  
კარგად იცნობდა ამ ბიქსს. რაც დაიბადნენ,  
მას შემდეგ სულ ამ სახლში ცხოვრობენ;  
ირინე—მესამე სართულზე, აჩიკო—პირველზე.

— აბა, თვალები დახუჭე.

აჩიკო კედლისაკენ შებრუნდა და თვალები  
მაგრად დახუჭა. ირინემ ქალაღდი შემოაცა-  
ლა ჩექმებს და ფეხებთან დაუწყო.

— მოიხედე!—მესძახა ირინემ. აჩიკომ მოი-  
ხელა და...

...ის დღე იყო და ის, აჩიკოს რეზინის ჩექ-  
მები შინ აღარ ჩაუცვამს. ხან ბაკურიანში  
ვცვა თოვლში და ხან ზაფხულში—მანგლის-  
ში—ნაწვიმარზე ტყეში დააბოტებდა და ფე-

ხები სულაც არ უსველდებოდა.

მერე არჩილი გაიზარდა. ჩექმები კი იმავე  
ზომისა დარჩნენ და აღარ ეტეოდა.

აჩიკოს პატარა დაიკო ჰყავს, ია ჰქვია ან  
იკა, როგორც ეწეებოთ, ისე დაუძახებთ. ჰო-  
და, იკა რომ ხუთი წლისა გახდა, აჩიკომ თა-  
ვისი წითელარშიიანი ჩექმები აჩუქა. იკა  
ოთახში არ ატარებს ჩექმებს. იმიტომ რომ,  
როცა ჩექმები აჩუქა, აჩიკომ თან ეს ამბავი  
უამბო. იკა მაშინვე მიხვდა, რომ რადიატორ-  
თან ოთახებში რეზინის ჩექმების ტარება არ  
შეიძლება, თორემ მაშინდელივით ადგებიან  
და გაიქცევიან.

იკას პატარა ძამიკო ჰყავს, ირაკლი ჰქვია.  
ჰოდა, ირაკლი რომ ხუთი წლისა გახდებდა,  
იკა თავის წითელარშიიან ჩექმებს აჩუქებს,  
თან ამ ამბავსაც უამბობს. თორემ, ვაითუ,  
ირაკლიმ ჩექმები თბილ ოთახში ჩაიცვას,  
ვაითუ ჩექმები გაჯავრდნენ და გაიქცენ!

მაშინ რაღა ეშველება ირაკლის?!





## ქათამ-მათამი

ნარიან ბაქაშვი

— სად დადინარ, ჩვენო ხოჯა?  
ხეტილობ ალმა-დალმა!  
— მოვიარე ქუჩა-მუჩა,  
რალაც-რულაც მომცა ხალხმა.  
— რა მოგცეს და რა იშოვე,  
ღმერთმა ხელი მოგიმართა?  
— ახლა ხალხში რას იშოვი!—  
წიწილ-მიწილს, ქათამ-მათამს...  
— მოდი, რაც გაქვს ტომარაში  
ძმურად გაგყოთ, ჩემო ხოჯა:  
ქათამი—მე,  
მათამი—შენ,  
წიწილი—მე,  
მიწილი—შენ,  
ჰოდა, მორჩა!



თარგმნა ლეილა ერაძე



მოქალაქეთის სსრ-ის ღირსება

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საინჟინერო-ტექნიკური  
საზოგადოება

# იღნაპის კრიანგის ანგარი

საქართველოს

ნახატი მ. ლუგვინისი

პაპაჩემი სასწავლებელში ორად-ორ წელიწადს სწავლობდა და განათლებაც ორი კლასისა ჰქონდა.

— კარგი დრო დაგვიდგა, სკოლა შინ მოგვითანეს და ეს არის!— ჩიფჩიფებს პაპა, — მე კი პირველ კლასში ცხრა ვერსზე დავდიოდი სოფელ სტრიმბოში. მამლის პირველ ყვირზე მალე ვიძებდა დედა, ჩამილაგებდა წიგნებს აბჯაში, ხელში აწვლის მელნით ხავსე ბოთლს მომცემდა და გავუღებოდი გზას.



— პაპა, იონა კრიანგესთან ერთად სწავლობდი?

— არა... კრიანგე გაცილებით უფროსია ჩემზე. მშვენიერი წიგნები დაწერა. ახლა მას მთელი მოლდავეთი იცნობს!

მაშინ ის მასწავლებლად იყო იასახაში. მისმა მოწაფემ სიტყვა-სიტყვით გვიამბო, თუ როგორ სწავლობდა კრიანგესთან ანაბანას.

მაშ ასე, მოდიხ კრიანგე სკოლაში, იღნაპში მუყაოს კოლოფი ამოიჭრია. კოლოფში ანბანი აქვს ჩაწყობილი. ასოები უბრალოდ არ გეგონოს, სულ თავლიანი ნაზუქებია. ამოალაგებს კოლოფიდან ასოებს, ააწყობს სიტყვას და საკლასო დაფაზე ქინძისთავებით მიაბარებს. მერე მოსწავლეს გამოიძახებს.

— აბა, წაიკითხე ხმამაღლა, რა წერია დაფაზე?!

თუ მოსწავლე სწორად წაიკითხავდა, კრიანგე ნებას აძლევდა ერთი ასო—კვერი ამოეჩრია და შეეჭამა.

— ერთხელ კიდევ წაიკითხე, მხოლოდ იცოდე, ის ასო არ დაგავიწყდეს, ახლა რომ შეჭამე. კრიანგე თვითონ იყო ღარიბი და მაინც ყოველ საღამოს აცხობდა თავის ტკბილ „ანბანს“.

— ნეტა პაპა მეც მაჭამა ასეთი კვერი—ანბანი!

პაპამ შუბლი შეიჭმუნა: ხელი მოჰკიდა, განჯინასთან მიიყვანა და წიგნი გადმოუღო:

— აი, ჩემო გუგუცე, ხად უოფილა იონა კრიანგეს ლუმელში გამომცხვარი გემრიელი ანბანი, მოდი შეეჭამოთ, აი, ეს:

— ეო, ბეო, კარი გამიღო, პირით მომაქვს ნეკერი, ძუძუებით ჩქეო“. ხომ კარგია?

გუგუცემ სიყვარულით შეინახა წიგნი უბეში და პაპას მოეხვია:

— პაპა, ვინა თქვა შენზე ორი კლასის განათლება აქვსო, ორი კი არა მთელი ოთხმოცი წელი გისწავლია!

თარგმნა კარლო ვაბაშვილი



კაიხა ბანერიუღიაი

თვითონ თოხნა, თვითონ ღარბა.  
მოსაპალი უზრო გარბებს.



თარგმანების სსრ-ის დროზე

# ნესვი

ბაღაში წაგორებულა  
დიდი, ყვითელი ნესვი,  
გასივებია მუცელი  
და ღრმად გაუდგამს ფესვი.

პაერში ნესვის სუნი დგას,  
ხარობს ყოველი ბავშვი.  
ნახეთ, ნესვების რთველია  
ოქტომბრელების ბაღში!

თარგმნა კ. შოშიაშვილმა



ნახტი თაიშარაზ ჩიჩინაშვილისა

# ალესკუპას ამბავი



## ამთავარი პარაგრაფი

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

დღემ ციყვებს ასწავლად  
მომჩაობის ანბანი:

— სულ ერთია, დაღიხართ  
ფეხითა თუ მანქანით,—  
გზიდან—გზაზე იარეთ  
ფრთხილად, თვალის დაჭყეღით,  
ფოთლისფერზე—გადადით!  
შინდისფერზე—გაჩერდით!!!—  
აღესკუპამ უსმინა  
და მერე კი იცით რა?—  
გადაბრუნდა გვერდზე და  
იცინა და იცინა.

\*\*\*

ჩაეძინა აღესკუპას,  
მერე თითქმის ფეხის ხმა  
მოესმა და ციყვუნას  
უცებ გამოეღვიძა.  
და რას ხედავს: ღურჯი ფერის  
გზაზე მოჩანს ბუდეზღერი!  
იგი აღესკუპასთან  
მივიდა და გაჩერდა.

აღესკუპა მაშინვე  
აცუნცულდა საჭესთან.  
მერე აამუშავა  
თათის ერთი დაჭერიტო,  
გზაზე გადაუხვია,  
არვინაა დამჭერი:  
— ჰერი, ბიკო, ჰერიო,  
მომყავს ბუდეზღერიო!  
გზა ღარივით სწორია  
და ფოთლების ფერიო.—  
ჩაუქრლდა ბიდიკებს,  
ლეღებს და გზა-შარას,  
დაეჯახა სოროებს,  
აშადა და დაშადა.  
აღესკუპამ იფიქრა:  
რა შემთხვევა მომეცა,  
უნდა ყველას ვუჩვენო  
სიმარჯვეც და ღონეცა!  
ბუდეზღერი დაამხვებია,—  
მიღწა და მოღწა...

\*\*\*

აწრიბინდა თავი,  
აჭვითინდა თავი:  
ღია ცისქვეშ დაგეტოვა,—  
მოწამვა ხაღი,  
მიგვინგრია მოგვინგრია  
ვებერთედა სახლი.  
ბოღოს დათო-დათუნამ  
საქმე სულ გაართულა:  
— ჯერ ასეთი ამბავი  
არც ერთ ტყეში არ თქმულა.  
ეს იმისი ბრალია,  
რომ არ იცის შემდეგი:  
ფოთლისფერზე—გადადი!  
შინდისფერზე—შესდექი!!!  
მაგის სტუნენა-თამაშით  
ტყვა აკლბულიო:  
ბუმ თქვა:—ძიღს არ მაცდის და  
გამიწყად გულიო:

ზღარბმა:—ხიდან დამცინის,  
 ამომართვა სუდიო;  
 დედა-ციყვმა:—დავბერდი,  
 უკვე ველარ ვუვლიო-  
 თაფნებას და უწყსოს  
 კარგი როზგი უწყესო...  
 სიტყვა საქმედ აქციეს,  
 იქვე წამოაქციეს...

\*\*\*

გაროზგის და შერცხვენის  
 დიღით გამოვლვიდა,  
 შუბლზე ტილო ვფინა  
 და ფოთლი ვერხვისა.  
 — ცივი ტილო ვინ დამადო,  
 ხომ არავარ ავად?  
 უცებ კარი შემოაღეს  
 ციყვის სანახავად:  
 დათვმა თაფლი მიართვა,  
 თაგუნიაშ—თხილი;  
 ბაჭიებმა—სტაფილა,  
 ახალმოთხრილი,  
 სათამაშო ბუღლოზერი  
 მოუტანა კოდადამ;  
 განა სადმე შეიძინა?  
 თვითონვე გამოთარა.  
 ბუმ აუწყა სუყველას,  
 ჩურჩულით და გაღურსვით:  
 — ომმოც გრადუსს აკლია  
 რაღაც სამი გრადუსი.  
 აღესკუბამ თათებით  
 მოიწმინდა ოფლი და  
 გაიფიქრა:—მეზობლები  
 რა კეთილი ყოფილან!  
 კაცი რომ არ ელოდა,  
 უცებ იცით რა მოხდა?  
 აღესკუბამ ისკუბა  
 ღოგინიდან წამოხტა.  
 ცრემლი მოსდის ლაპალუპით,  
 დამარაკობს სხაპასხუპით:  
 — თუკი ვიცი თამაში,  
 სიმღერები, ღეჰსები,—  
 აწი მეცოდინება  
 მოძრაობის წესებიც!



# გაბუჯული მზესუმზირები

მარგო თოვაძე ნახატი ელ. ამბომაძის



## უკვე ვიხილ თვლა

პაპან სანძიძე

მე და გია წიწილებს არ ვაშორებთ თვალს, თანაც ვითვლით: ერთი, ორი, ხუთი, შვიდი, ცხრა... ვერ მოგვპარავს ვერც ერთს ქორი, უკვე ვიცით თვლა.



## ეს რაღა სოფელია?

აწუწუნდა მელია:  
ხორცი შემომელია,  
ქალაქს უნდა გადავბარგდე,  
აქ ცხოვრება ძნელია...  
მუქთად ქათამს ვერ ვშოულობ,  
ეს რაღა სოფელია?!

ნახატები პაპა ლათიაშვილისა

სახლის გვერდით სამი მზესუმზირა ამოვიდა. ერთი, მაღალი იყო, ტანაყრილი; მრგვალი, ლამიზი თავი ჰქონდა. შუათანა—თავდიდა და ლეროჩამსხვილებული, წელამდე თუ წვდებოდა მაღალს. მესამე სულ დაღუულიყო, მუშტისოდენა თავი წვრილ ღეროზე საცოდავად კინკილებდა.

— მცივა, ძალიან მცივა,—ამბობდა ყოველ დილით ჰატარა მზესუმზირა, თან თავს აქეთ-იქით აკანტურებდა. მზეს ექებდა, მაგრამ ვერ პოულობდა.

— რამდენი ხანია გათენდა,—აი, იქით გაიხედეთ,—ეუბნებოდა მაღალსა და შუათანა მზესუმზირებს,—ის ბალი როგორ გაჩახჩახებულია, ვაშლის ხის კენწეროზე რომ ბრჭყვიანებენ, მგონი მისი სხივებია.

— ჰო, მზის სხივებია, მზე უკვე დიდი ხანია ამოვიდა,—შრიანებდა შუათანა.

— მე ყველაზე კარგად ვხედავ, როგორ თამაშობენ ვაშლის ხის კენწეროზე მზის სხივები,—ამაყად ირხეოდა მაღალი.

ერთ დილით ჩვეულებრივად აცხცახბა ჰატარა მზესუმზირა,—ძალიან მცივა!

— ცოტა ხანს კიდევ მოითმინე,—უთხრა შუათანამ,—ხედავ, მზე თანდათან ზევით იწევს, მალე ჩვენც გადმოვგებდავს და გაგვათბობს.

მართლაც მზე თანდათანობით დასავლეთისაკენ გადაიხარა. მაღალ მზესუმზირას ბრჭყვიანა სხივები გადააფრქვია. შუათანასაც მოხვდა რამდენიმე სხივი. ჰატარა კი ისევ ჩრდილში დარჩა.

— მე- ისევ მცივა,—დაიჩივლა ჰატარამ.

— ჩემსკენ მოიწი,—უთხრა შუათანამ,—სხივები მხრებზე შემოვგებევა და გაგვათბობს.

— ჰატარა ვარ, ვერა გწვდები! შუათანა მზესუმზირა თვითონ გადაიხარა მისკენ. თბილი ფოთლები შემოახვია.

— ვერც მაგას უშველი და შენც გაიყინები,—უთხრა მაღალმა შუათანას. მზე მალე სახლს მოეფარება და ისევ აცივდება. შუათანა მზესუმ-



ზირამ აღმაცერად გახედა მაღალს და უფრო მაგრად შემოხვია ფოთლები პატარა მზესუმზირას.

ერთ დღეს ჭიშკარმა უთენია დაიჭრიალა. ეზოში ორი ბიჭი შემოვიდა. ორივეს ზურგჩანთები ეკიდა. ძმები იყვნენ, ერთმანეთს კი არ ჰკვანდნენ. ერთი დაბალი იყო, ბურთივით მოძრავი და მარდი. მეორეს აყლანწული კანჭები ქონდა, ძმას ზევიდან დაჰყურებდა.

— შეხე, ჩვენი მზესუმზირები როგორ გაზრდილან,—თქვა უმცროსმა.

— ერთი გაზრდილა,—მიუყო უფროსმა,—მეორესაც ერა უშავს რა, შეხე, ეს რა სასაცილოა, ხელი წამოჰკრა დალეულ მზესუმზირას.


— მზესუმზირები ხომ მზეს უნდა უყურებდნენ,—შენიშნა უფროსმა,—ამით კი მზისთვის ზურგი შეუქცევიათ და სულ სხვა მხარეს იყურებიან.

ბიჭები დიდხანს შესცქეროდნენ მზესუმზირებს. ვერაფრით ვერ აეხსნათ, რატომ იყვნენ ისინი მზისკენ ზურგშექცეულები.

— ალბათ მზესთან გაბუტულები არიან,—თქვა ბოლოს უმცროსმა.

— გაბუტულები?! — გაუჭკირდა უფროსს.

— დახე, რა თქვეს,—გაელიმა შუათანა მზესუმზირას,—გაბუტულები არიანო. სულ ამით ბრალია, რომ ასე გეცევა და მთელი დღე უმზეოდ ვართ, ჩაგვეთესეს აქ, სახლის უკან. სახლი კი მზეს გვიფარავს. მხოლოდ საღამოთი თუ ვხვდავთ ხოლმე მზეს. თვალიც მისკენ ვერჩება და გულიც. ამით კი ჰკონიათ, რომ მზესთან გაბუტულები ვართ.



კუკური გოგიაშვილი

ბავშვებო, უკვე ოცდახუთი წელია მწერალი კუკური გოგიაშვილი და მხატვარი შალვა ცხადაძე შურნალ—„დილას“ რედაქციაში მუშაობენ.

ოცდახუთი წელი საკმაო დროა. ამ ხანში შურნალის მკითხველთა რამდენიმე თაობა შეიცვალა, მაგრამ ვისაც ნამდვილად ჰყვარებია „დილა“, ვისაც უურადღებოთ მიუდევნებია თვალი შურნალის ყოველდღიური ცხოვრებისათვის, მან არ შეიძლება სათანადოდ არ დააფასოს შალვა ცხადაძისა და კუკური გოგიაშვილის მოღვაწეობა. ოცდახუთი წლის წინანდელ მკითხველს კარგად ახსოვს ის სიახლე, რომელიც მოიტანა შალვა ცხადაძის მხატვრობამ. მან თავისი ფუნჯებით ახალი სიტყვა თქვა ქართულ საბავშვო მხატვრობაში. მის ნახატს ათას ნახატში გამოარჩევთ. დახედავთ თუ არა კუდფუმფულა მელისას და ბაჯბაჯა დათუნისას, ურცქვიტა კურდღელს თუ ჭრელაჭრულა ჩიტუნებს, თქვენ მაშინვე მიხვდებით, ვისი დახატულია.



ზღაპრი და კუ

— დამასკუპედი ბაკანსე,  
მე წაგიყვან ბაღში...  
— მეჩქარებ, მშობილო,  
დაძლიაქება ვაშლი!


ცუგრიკელა

— ცუგრიკელა, კინკილა,  
რატომ შუეფ კეინას?  
— ჭრელ ბოწილა ფუნინას  
აბა, რატომ ურქინა?!



გარდა ამისა შალვა ცხადაძემ შურნალის გარშემო შემოიკრიბა ქართული მხატვრობის თითქმის ყველა ნიჭიერი ოსტატი. ყველა დაგვეთანხმებით: სწორედ ამის გამოცაა, რომ ჩვენი „დილა“ ერთ-ერთ საუკეთესო შურნალად ითვლება მთელს საბჭოთა კავშირში.

ბავშვების საყვარელი პოეტია კუკური გოგიაშვილი. მისი ლექსის სიმსუბუქემ და იუმორმა გადაახლისა ჩვენი საყმაწვილო პოეზია. ათეული წლებია „დილას“ ფურცლებიდან გვესაუბრება ჰუმანიტარული გულისმხსიანდუმლედ ჩვენი ბავშვებისა. პატარები მის ლექსებს ზეპირად სწავლობენ, პიესებს თამაშობენ საბავშვო ბაღებისა თუ სკოლის სცენებზე. პოეტის იგავ-არაკების სიბრძნე და მორალი უფროსებისათვისაც ხასარგებლო და ჰკუის სასწავლებელია. პოეტის მრავალი წიგნი ჩვენი პატარების სამაგიდო წიგნებად იქცა.



### შალვა ცხადაძე.

ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ, ამაგდარ აღამიანებს— მწერალ კუკური გოგიაშვილსა და მხატვარ შალვა ცხადაძეს დღეგრძელობა და ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

ბ. ჭიჭინაძის ლექსის «დათუნია დრუნას» ილუსტრაცია.





— რა გინდა, შენია ეს ხე?—გააღმზვრე  
ბულმა დაიზუზუნა,—შენს ეზოში დგას?

— არც შენია,—დაუტია ისევ პაპამ,—  
დაიკარგე აქედან!

ქარი ველარ მოერია ჭიგოშედგმულ ხეს  
და ახლა სხვა ხეებისაკენ გაიქცა საკილოდ.  
ის იყო ცოტა ამოისუნთქა ქლიავის ხემ,  
რომ ახლა ღრუტუნა მობრძანდა, ჯერ გვერ-  
დებით გაეხახუნა, მერე დინგით დაუწყო  
ჩიჩქნა. ღრუტუნას გზაზე მიმავალმა ქალმა  
დაუყვირა:

— რას შვრები, ხომ გახმა?!

ღრუტუნას არ მოეწონა, რომ გაუჯავრ-  
დნენ, ფეხი არ მოიცვალა ადგილიდან.

— დაიკარგე აქედან, თორემ დაგიკერ და  
უტრებს მაგარად აგიწევ!—დაემუქრა ქალი;  
მაშინ კი იკადრა გაქცევა.

## პისია?

მარი ბოლქვაძე ნახატები პახანბნ მულისაშვილისა

გზის განაპირას ქლიავის ხე ამოვიდა, ძა-  
ლიან ნაზღეროებიანი და სიფრიფანაფოთ-  
ლებიანი.

ჯერ ვერავინ ამჩნევდა პატარა ხეს, მერე  
უველამ უცხად დანახა; ესეც ქარის ბრალი  
იყო,—ეს გადარეული, რაც ძალი და ღონე  
შქონდა აქეთ-იქით აქანებდა, ლამის ცხვირს  
არტყმევინებდა მიწაზე.

— რას შვრები, წელში არ გადატეხო,  
რა გინდა ამ ჩხირივით ხისაგან, ერევი?—  
ქარს მოხუცი პაპა გაუჯავრდა, პატარა ხეს  
მაგარი ჭიგო შეუყენა გასამაგრებლად.

ქარი აიმჩიხა:





ღრუტუნას შემდეგ თხა მოპრაკუნდა და ფოთლებს მისწვდა თავისი ცმაცუნა პირით.

— აბა, აბა! — თხას გოგო-ბიჭები დაესიგნენ და ხელად გააბრძანეს იქიდან.

— თქვენია, თქვენია? — კიკინებდა თხა შორიდან.

— მამ ვისია?! — აჯავრებდნენ გოგო-ბიჭები.

— პატრონი ჰყავს?

— პატრონის მეტი რა ჰყავს?! — ამბობდა პაპა და პატარა ქლიავის ხეს გარშემო გო-

ღორივით ღობეს ავლებდა, — აბა, ახლა ამოუთხარეთ ძირი, აბა, ახლაც მოაწიწკნეთ სიფრიდანა ფოთლები... — ჩიფჩიფებდა თავისთვის.



## არაკი



ვახანგ ძნლაძე

— ჩირვში რომ განაბულხარ,  
ვის სდარაჯობ, კურდღელო?  
— მეძებარი გამექცა  
და აქ მინდა ვუყელო.

— პაწაწინა წიწილავ,  
მალლა რას იხედები?  
— ქორი უნდა შევიბყრო,  
დავუზილო გვერდები.



— ხან წყნარო და ხან ცხარო,  
რას გაპყურებ გზას, ცხვარო?  
— მგლის სუნი მცემს, იმ მსუნაგს  
ჭკუა უნდა ვასწავლო!






შევეთ ცარიელი უჯრედები ყვეილების სახლებით.

### თავსაზუსი

|   |   |   |   |   |   |   |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|--|--|--|
| ბ | ვ | ი | ი | ღ | ღ |   |  |  |  |
| ვ | . | . | . | . | . |   |  |  |  |
| ბ | ე | ო | ი | გ | ე | ბ |  |  |  |
| ე | ბ | ბ | ღ | ღ |   |   |  |  |  |
| ზ |   |   |   |   |   |   |  |  |  |
| ა |   |   |   |   |   |   |  |  |  |
| შ | ხ | ო | შ | ა | ბ |   |  |  |  |
| პ |   |   |   |   |   |   |  |  |  |
| ა |   |   |   |   |   |   |  |  |  |
| ზ |   |   |   |   |   |   |  |  |  |
| ა | ა | ს | ა | გ | ა | ნ |  |  |  |

შეადგინე სავარჯუოს რაიონის, პალოის სკოლის მოსწავლემ გია გოგინაშვილმა.



შეადგინე თბილისის საშ. სკოლის მოსწავლემ თამარ ფაჯიშვილმა.

#### შოგავი რედაქტორი მუხრან მამასხარიანი

სარედაქციო კოლეჯი: კუპარი გომეზაშვილი, ლეილა ვარაძე, ჯაბაღა ლომოვი, ჯუბაღა ლომოვი, ნავაღაღა შამგოშვილი, იოსებ მამასხარიანი (პ/შგ მღვაწი). შალვა ცხაღაძე (საშ. რედაქტორი), ბიძი მენაშვილი. საქ. ალექ. ცაიხაძე და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საშუალო სკოლის უფროსი. ვაჟაფშაველას სახელობის საშ. სკოლის დირექტორი.

#### ტელევიზორი ბ. გომეზაშვილი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: შო. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/შგ მენაშვილი — 93-10-32, 93-98-17; საშ. რედაქტორის — 93-98-18; ვაჟაფშაველას — 93-98-19; სამედიცინო — 93-98-16.

გადაცემა: თბილისი მ/ს/1-72 წ. ჯელაფურიალი დასახელებული 15/VIII-72 წ. ქალაქის შო. მ. გომეზაშვილი. ფონ. ნომ. ფურც. 2-5, ტირაჟი 159.700. შტაბი. № 2005. „მთა“ № 10. ნა. გრუიკონო მთა. ფაზა 20 კაბ.

საქ. კა. ცაიხაძე  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии

635/182



76055



- „მხედარა“—ნახ. კობა მეტრეველისა, სოფ. ტაძრისი, ბორჯომის რაიონი.
- „ჯამბაზა“—ნახ. ლილე ფილფანისა, 4 წ. თბილისი.
- „გუგონა“—ნახ. ნანა კოდაშვილისა, 6 წ. გორი.
- „ჩემი აგარაკი“—ნახ. ნინო შავგულიძისა, 7 წ. ფოთი.
- „დები“—ნახ. ლია ისაკაძისა, 5 წ. ქუთაისი.
- „ოჭრაგი ციკი“—ნახ. მანანა ხართიშვილისა, 5 წ. კ. ორჯონიკიძე.